

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა

ოქმი № 16

ქ. ახმეტა

21 ივნისი, 2017 წელი

თავმჯდომარეობდა:

თამაზ წითელაური - ახმეტის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი.

ბიუროს სხდომას ესწრებოდა:

რ. ბალაკაშვილი, ბ. ჭიჭიკლიშვილი, ნ. აბალოძე,
ა. შათირიშვილი, გ. ქიტესაშვილი, მ. ალხანაშვილი,
ზ. გარსევანიძე, ც. გრძელივანიშვილი.

სხდომა გაიხსნა 11⁰⁰საათზე.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ თამაზ წითელაურმა გახსნა სხდომა და დამსწრე პირებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

/მომხსენებელი - არსენ ბულრიძე/

2. „ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 აგვისტოს №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

3. „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 1 სექტემბრის №43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - ზურაბ გარსევანიძე, თანამომხსენებელი
დავით შაშიაშვილი/

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგს, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოსმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო პროექტი:

ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში ცვლილებების პროექტით გათვალისწინებულია ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილის ზრდა 1 090,1 ათ. ლარით („ მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ „ საქართველოს

მთავრობის 2017 წლის 6 აპრილის №693 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 02 ივნისის №1092 განკარგულება)

გადასახდელები (ხარჯები)

ინფრასტრუქტურა, მშენებლობა, რეაბილიტაციადა

ექსპლუატაცია

ზრდა (+)

- სოფ. ყვარელწყლის შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია + 383,9 ათ. ლარი
- ახმეტა- ბაწარის საავტომობილო გზის 22-ე კილომეტრიდან სოფ. ძიბახევამდე მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია + 442,8 ათ. ლარი.
- სოფ. ჯოყოლოში მდ. ალაზანზე ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობა +101.1 ათ. ლარი.
- მდ. ალაზანზე დუისი-ქვ. ხალაწნის დამაკავშირებელი საცელფეხო ხიდის მოწყობა + 162,3 ათ. ლარი.

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 აგვისტოს №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს განუმარტა რომ:

ნორმატიული აქტის პროექტის მიღება გამოწვეულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალაში შესვლამდე განსახორციელებელი ღონისძიებების გატარების აუცილებლობით.

ა.ბ) ნორმატიული აქტის პროექტის მიზანი:

2017 წლის 1 ივლისისთვის კანონთან შესაბამისობაში იქნას მოყვანილი საშტატო ნუსხა

ა.გ) ნორმატიული აქტის პროექტის ძირითადი არსი:

2017 წლის 1 ივლისამდე საჯარო დაწესებულებები ვალდებული არიან „საჯარო სამსახურის შესახებ“ 2015 წლის საქართველოს კანონის 125-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, კანონის მიზნების განსხორციელებლად უზრუნველყონ თანამდებობათა ფუნქციების შინაარსის გათვალისწინებით საჯარო სამსახურში დასაქმებული პროფესიული საჯარო მოხელეების იერარქიულ რანგებში, ხოლო შრომითი ხელშეკრულებითა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასასაქმებელთა შესაბამის პოზიციებში განაწილება.

დამხმარე ან არამუდმივ ამოცანათა შემსრულებელთა შტატები უნდა ამოღებულ იქნას საშტატო ნუსხიდან და მათთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება, ხოლო ხელშეკრულებით აყვანილ შტატგარეშე პოზიციებიდან, დასაქმებულთა ფუნქციების შინაარსის გათვალისწინებით მოხდება საშტატო ნუსხაში შეყვანა.

ციური გრძელივანიშვილი დაინტერესდა მოხდებოდა თუ არა შტატების დამატება.

მომხსენებელმა უპასუხა, რომ შტატების დამატება არ არის გათვალისწინებული.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგს, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 1 სექტემბრის №43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა განუმარტა პროექტის მიღების აუცილებლობა.

2017 წლის 1 ივლისამდე საჯარო დაწესებულებები ვალდებული არიან „საჯარო სამსახურის შესახებ“ 2015 წლის საქართველოს კანონის 125-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, კანონის მიზნების განსხორციელებლად უზრუნველყონ თანამდებობათა ფუნქციების შინაარსის გათვალისწინებით საჯარო სამსახურში დასაქმებული პროფესიული საჯარო მოხელეების იერარქიულ რანგებში.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

საკითხის შესახებ შეკითხვები არ ყოფილა.

ბიუროს სხდომა დაიხურა 11²⁰ საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი:

თამაზ წითელაური